

ტრესტი ნეფთგაზთიქინთის წარმომადგენლობა საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შინაარსი:

## ფინანსური ინფორმაცია

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                 | 3 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება----- | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----         | 5 |

|                                     |      |
|-------------------------------------|------|
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----- | 6-18 |
|-------------------------------------|------|

ტრესტი ნეფთაგაზთიქინთის წარმომადგენლობა საქართველოში  
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარი)

|                                            | შენიშვნა           | 2019                | 2018                |
|--------------------------------------------|--------------------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                            |                    |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |                    |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                       | <a href="#">4</a>  | 307,619.36          | 401,389.18          |
| არამატერიალური აქტივები                    | <a href="#">5</a>  | 404.48              | 485.37              |
| საინვესტიციო ქონება                        | <a href="#">10</a> | -                   | -                   |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |                    | <b>308,023.84</b>   | <b>401,874.55</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |                    |                     |                     |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | <a href="#">6</a>  | 108,810.18          | 431,292.23          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | <a href="#">7</a>  | 459,406.68          | 621,608.47          |
| მარაგები                                   | <a href="#">8</a>  | 453,891.86          | 193,742.29          |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |                    | 54,568              |                     |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                 |                    |                     |                     |
| სხვა მიმდინარე აქტივები                    | <a href="#">11</a> | 191,305             | 263,758.97          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |                    | <b>1,267,981.72</b> | <b>1,510,401.96</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |                    | <b>1,576,005.56</b> | <b>1,912,276.51</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |                    |                     |                     |
| საწესდებო კაპიტალი                         |                    | -                   | -                   |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |                    | (892,340.71)        | (584,266.19)        |
| გადაფასების რეზერვი                        |                    | -                   | -                   |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |                    | <b>(892,340.71)</b> | <b>(584,266.19)</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |                    |                     |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |                    |                     |                     |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |                    |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | <a href="#">9</a>  | 2,468,346           | 2,474,763.50        |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |                    |                     | 21,779.20           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |                    | <b>2,468,346</b>    | <b>2,496,542.70</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |                    | <b>2,468,346</b>    | <b>2,496,542.70</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |                    | <b>1,576,005.56</b> | <b>1,912,276.51</b> |

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი :



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

| შენიშვნა                             | შენიშვნა  | 2019             | 2018           |
|--------------------------------------|-----------|------------------|----------------|
| ამონაგები                            | <u>12</u> | 3,271,446        | 3,887,549      |
| სხვა შემოსავლები                     |           | -                |                |
| მარაგების შესყიდვა                   |           | (1,582,997)      | (1,352,797)    |
| მარაგების ნაშთის ცვლილება            |           | 260,150          | 31,273         |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი      | <u>16</u> | (2,045,182)      | (2,167,688)    |
| მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები | <u>14</u> | (5,453)          | (19,426)       |
| სხვა ხარჯები                         | <u>15</u> | (43,851)         | (58,350)       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |           | <b>(145,888)</b> | <b>320,560</b> |
| ფინანსური შემოსავალი                 |           | -                |                |
| ფინანსური ხარჯი                      |           | -                |                |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება        |           | (162,187)        | (76,496)       |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |           | <b>(308,075)</b> | <b>244,065</b> |
| მოგების გადასახადი                   |           | -                |                |
| <b>წმინდა მოგება</b>                 |           | <b>(308,075)</b> | <b>244,065</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:               |           | -                |                |
|                                      |           | -                |                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>      |           | <b>(308,075)</b> | <b>244,065</b> |

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი :



## საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(ლარი)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> |                       |                        | <b>(583,125)</b>        | <b>(583,125)</b> |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | (308,075)               | <b>(308,075)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                     | -                      |                         | -                |
| პერიოდის სრული<br>შემოსავალი  | -                     | -                      | (308,075)               | <b>(308,075)</b> |
| გაცემული დივიდენდი            | -                     | -                      | -                       | -                |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა   | -                     | -                      |                         | -                |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | -                     | -                      | <b>(892,341)</b>        | <b>(892,341)</b> |

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :



## 1. ზოგადი ინფორმაცია

**ტრესტი ნეფთგაზთიქინთის წარმომადგენლობა საქართველოში, ს/კ 205140060** (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 03 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის ნომერი 4193/006

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ისნის რაიონი, 300 არაგველის ქ. #24

საქმიანობის არეალს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონები.

### **ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

#### **ტერმინების განმარტებები:**

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

## **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

## **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემქნასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

## **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული

შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

### **ძირითადი საშუალებები**

#### **ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### **ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური



სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

## ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი                             |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5-7 წელი                             |
| ავტომობილები               | 10-15 წელი                           |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საღირცხოვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შემწეის ხარჯებს, ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების საწყობამდე მისაყვანად

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით, საწყობების მიხედვით.

## დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადახდების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე. კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

შემოსავალი მომსახურებიდან: მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **იჯარა**

როდესაც კომპანიას აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, შესაბამისად კომპანიის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები და დანამატები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766 | 3,0701 |
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677 | 3.2095 |

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

#### 4. ძირითადი საშუალებები

|                                     | შენიშნა<br>ნაგებობები | - მანქანა-<br>დანადგარები | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ჯამი    |
|-------------------------------------|-----------------------|---------------------------|-------------------------------|-----------------------------|-------------------------|---------|
| <b>ლარში</b>                        |                       |                           |                               |                             |                         |         |
| <b>2018 წლის ბოლოს მდგომარეობით</b> | -                     | 434,762                   | 1,800                         | 430,096                     | 54,119                  | 920.777 |
| შესყიდვა                            |                       | (0)                       |                               |                             |                         |         |
| გასვლა                              |                       |                           |                               |                             |                         | -       |
| გაუფასურება                         |                       |                           |                               |                             |                         | -       |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია         |                       |                           |                               |                             |                         | -       |
| გადაფასების რეზერვი                 |                       |                           |                               |                             |                         | -       |
| <b>2019 წლის ბოლოს მდგომარეობით</b> | -                     | 434,762                   | 1,800                         | 430,096                     | 54,119                  | 920.777 |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>              |                       |                           |                               |                             |                         |         |
| <b>2018 წლის ბოლოს მდგომარეობით</b> |                       | 306,818                   | 1,650                         | 166,828                     | 44,091                  | 519.387 |
| ცვეთის ხარჯი                        |                       | 49,543                    | 150                           | 39,337                      | 4,740                   | 93.770  |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა      |                       |                           |                               |                             |                         | -       |
| <b>2019 წლის ბოლოს მდგომარეობით</b> | -                     | 356,361                   | 1,800                         | 206,165                     | 48,832                  | 613.157 |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>         |                       |                           |                               |                             |                         |         |
| <b>2018 წლის ბოლოს</b>              | -                     | 127,944                   | 150                           | 263,268                     | 10,028                  | 401.389 |
| <b>2019 წლის ბოლოს</b>              | -                     | 78,401                    | -                             | 223,931                     | 5,287                   | 307.619 |

## 5. არამატერიალური აქტივები

### არამატერიალური აქტივები

| ღარი            | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|-----------------|------------|------------|------|------|
| 2018 წლის ბოლოს | 728        |            |      | 728  |
| შემოსავლა       |            |            |      | -    |
| გასვლა          |            |            |      | -    |
| 2019 წლის ბოლოს | 728        | -          | -    | 728  |

|                               | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|-------------------------------|------------|------------|------|------|
| დაგროვილი ამორტიზაცია         |            |            |      |      |
| 2018 წლის ბოლოს               | 243        |            |      | 243  |
| პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი   | 81         |            |      | 81   |
| გასულის დაგროვილი ამორტიზაცია |            |            |      |      |
| 2019 წლის ბოლოს               | 324        | -          | -    | 324  |

|                      | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|----------------------|------------|------------|------|------|
| საბალანსო რირებულება |            |            |      |      |
| 2018 წლის ბოლოს      | 485        | -          | -    | 485  |
| 2019 წლის ბოლოს      | 404        | -          | -    | 404  |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                    | 31/12/2019     | 31/12/2018     |
|--------------------------|----------------|----------------|
| ფული სალაროში            | 2,830          | 219            |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 105,980        | 431,073        |
|                          | <b>108,810</b> | <b>431,292</b> |

## 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                              | 31/12/2019     | 31/12/2018     |
|------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები   | 548,354        | 710,555        |
| საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი | (88,947)       | (88,947)       |
| სხვა მოთხოვნები                    | <b>459,407</b> | <b>621,608</b> |

## 8. მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში         | 31/12/2019     | 31/12/2018     |
|---------------|----------------|----------------|
| საქონელი      | 453,541        | 190,176        |
| სხვა მარაგები | 351            | 3,566          |
|               | <b>453,892</b> | <b>193,742</b> |

## 9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                   | 31/12/2019       | 31/12/2018       |
|-------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | 2,463,776        | 2,425,734        |
| გადასახელი ხელფასები    | 4,570            | 48,006           |
| გადასახდელი პროცენტები  | -                | -                |
| გადასახდელი დივიდენდები | -                | -                |
| სხვა ვალდებულებები      | -                | -                |
|                         | <b>2,468,346</b> | <b>2,473,740</b> |

ვალდებულებების თანხიდან 2018 წელს 2,314,191 ლარი და 2019 წელს 2,342,987 ლარი წარმოადგენს კომპანიის მთავარი ოფისის მიმართ დავალიანებას

## 10. საინვესტიციო ქონება

| საინვესტიციო ქონება                             | 31/12/2019 | 31/12/2018 |
|-------------------------------------------------|------------|------------|
| რეალური ღირებულება 1.01.2019                    |            |            |
| მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან |            |            |
| რეალური ღირებულება 31.12.2019                   | -          | -          |
|                                                 | <b>-</b>   | <b>-</b>   |

## 11. სხვა აქტივები

| ლარში                           | 31/12/2019     | 31/12/2018     |
|---------------------------------|----------------|----------------|
| გარანტიით გაყვნილი თანხა ბანკში | 0              | 263,758        |
| სხვა მიმდინარე აქტივები         | 191,305        |                |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 54,568         |                |
|                                 | <b>245,873</b> | <b>263,751</b> |

## 12. ამონაგები

ამონაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                    | 31/12/2019       |
|-------------------------|------------------|
| მომსახურების რეალიზაცია | 3,271,446        |
|                         | <b>3,271,446</b> |



### 13. თვითღირებულება

თვითღირებულება 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                        | 31/12/2019       |
|-----------------------------|------------------|
| მომსახურების თვითღირებულება | 1,322,847        |
|                             | <u>1,322,847</u> |

### 14. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                            | 31/12/2019   |
|---------------------------------|--------------|
| სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი | 5,453        |
|                                 | <u>5,453</u> |

### 15. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                  | 31/12/2018    |
|-----------------------|---------------|
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 40,306        |
| ქონების გადასახადი    | 3,545         |
|                       | <u>43,851</u> |

## 16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                                        | 31/12/2018       |
|---------------------------------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                          | 634,346          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                        | 93,851           |
| სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯი | 960,138          |
| პროფკავშირების საწევრო                      | 3,444            |
| დაზღვევის ხარჯი                             | 23,408           |
| ბანკის მომსახურება                          | 4,903            |
| გარანტიის მომსახურების ხარჯი                | 30,273           |
| იჯარის ხარჯი                                | 77,922           |
| ავტომობილების იჯარის ხარჯი                  | 185,948          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                  | 14,937           |
| კომუნიკაციის ხარჯები                        | 11,011           |
| საპენსიო ხარჯი                              | 5001             |
|                                             | <b>2,045,182</b> |

## 17. პირობითი ვალდებულება

კომპანიას 2016 წლიდან სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელი, კომპანიას აქვს სასამართლო დავა იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;